

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი  
რესურსების კომისიის სხდომის

ო.ქ.მ.ი N 10

ქ. თელავი

2019 წლის 27 აგვისტო

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: დავით ლაღანიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიორგი ჩაბრაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი,  
ბესიკ გაიპარაშვილი, გოჩა წაწალაშვილი,  
ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე,  
არჩილ თვალაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-  
დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი, საკრებულოს  
ფრაქცია “ქართული ოცნება - მრეწველები” -ს თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი,  
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის  
მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული  
დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული  
სპეციალისტი დავით ნუსხელიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N19  
განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი  
პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში  
დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის  
თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. დ. ლაღანიძე

**მოისმინეს:** 1 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N19 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვას:** დავით ლაღანიძემ აღნიშნა, რომ განსახილველი პროექტი ეხება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ პროექტებში ცვლილების შეტანის საკითხს.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N19 განკარგულებით დამტკიცებული დანართის თანახმად სოფ. წინანდალში გათვალისწინებულია ხელოვნურსაფარიანი მინი მოედნის მოწყობა, რომელზედაც განსაზღვრულია 30 000 ლარი. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესყიდული იქნა შესაბამისი პროექტი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით ხელოვნურსაფარიანი მინი მოედნის მოსაწყობად საჭიროა 75 000 ლარი. ვინაიდან გამოყოფილი თანხით შეუძლებელია ხელოვნურსაფარიანი მინი მოედნის მოწყობა, აღნიშნული თანხა მთლიანად მოხმარდება სოფ. წინანდლის N1 საბავშვო-ბაღის სახურავის რეაბილიტაციას, რომელიც იყო რიგით მეორე პრიორიტეტი.

**გადაწყვიტეს:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის N19 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი განსახილველად წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე



დავით ლაღანიძე